სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №0412/01

(CPV 50610000 - გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით)

ქ. თბილისი

04 დეკემბერი, 2019წ

ერთი მხრივ, სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი კომისიის თავმჯდომარის კახი ბექაურის სახით და მეორე მხრივ, შპს შპს ,,FS" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბეგოიძის სახით, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის შესაბამისად, მონეტარული ზღვრის დაცვით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში ხელშეკრულება) -,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, დამატებით და ასევე ყველა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მომსახურების შესყიდვას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.5. „მიმწოდებელი" – იურიდიული პირი, რომელიც შემსყიდველს ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად.
1.6. ,,მიღება-ჩაბარების აქტი" - წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ფორმდება მომსახურების მიღების შემდეგ.

2. ხელშეკრულების საგანი

მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს შემსყიდველის კუთვნილი 19 ცალი ცეცხლმაქრის შემოწმება, დაცლა, აღდგენა და 6 კგ ფხვნილით დამუხტვა (შემდგომში ,,მომსახურება"), თავის მხრივ, შემსყიდველი ვალდებულია მიიღოს მომსახურება თუ ის შეესაბამება მოთხოვნილს და გადაიხადოს მისი ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ერთი ცეცხლაქრის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 33 ლარით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 627 (ექვსას ოცდაშვიდი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, მათ შორის დღგ.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით ეროვნულ ვალუტაში-ლარში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მომსახურების მიღების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
4.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. მიწოდების ვადები და პირობები

5.1. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე პასუხისმგებელია შესყიდვების და ქონების მართვის ჯგუფის მთავარი სპეციალისტი რევაზ მორგოშია.
5.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს მომსახურების განხორციელებას არაუგვიანეს 2019 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.
5.4. ცეცხლმაქრები განთავებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ/ ბოჭორმის 50/18. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით თავად განახორციელოს მომსახურებაგასაწევი ცეცხლმაქრების ტრანსპორტირება საკუთარ ტერიტორიაზე და შეკეთებული ცეცხლმაქრების უკან დაბრუნება.

6. სტანდარტები და გარანტია

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა, რომელიც შეესაბამება საქართველოს მოქმედ სტანდარტებსა და კანონმდებლობას.
6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.

7. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
71.1. განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
7.1.2. მომსახურების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის მიღებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.2.2. უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს სათანადო ხარისხის მომსახურება სრული მოცულობით.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან/და შეამოწმოს განხორციელებული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და შემოწმების განხორციელების უფლება ენიჭება შესყიდვების და ქონების მართვის ჯგუფის მთავარ სპეციალისტს რევაზ მორგოშიას.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისთვის მხარეს უფლება აქვს დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო, დაგვიანებით განხორციელებული მომსახურების ღირებულების 0,02% ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების შემდეგ.
10.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.
10.5. შემსყიდველს, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ასევე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების ან/და ლიკვიდაციის შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ყალბია;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

11. გამოყენებული სამართალი და ხელშეკრულების ენა

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
11.2. ხელშეკრულება დაიწერა ქართულ ენაზე.

12. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
13.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის შესახებ.
13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან დავის გადასაწყვეტად მიმართონ საქართველოს შესაბამის სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, ხელშეკრულების ვიზირებაზე ხელისმომწერი პირები და მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე მაკონტროლებელი პირი ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

18. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ,,საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია"
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი/ბოჭორმის ქ. №50/18
საიდ. კოდი: 204953050
სს ,,თი ბი სი ბანკი"
ა/ა: GE11TB0600000000609326

კახი ბექაური
კომისიის თავმჯდომარე

მიმწოდებელი:

შპს ,,FS"
მისამართი: ქ. თბილისი, საჭილაოს ქ. 9
საიდ. კოდი: 400082879
სს ,,თიბისი ბანკი"
TBCBGE22
ა/ა: GE65TB7891636020100002

გიორგი ბეგოიძე
დირექტორი

GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Digitally signed by GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION
Date: 2019.12.04 16:04:00 +04'00'